საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება ნორმატიული აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

№ 102/5

24 სექტემბერი, 2013 წელი

საქართველოს კანონის პროექტი „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07-3/241; 19.09.2013)

(ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას)

დასახელება

საქ. პარლამენტის წევრი ი. სესიაშვილი	საქ. პარლამენტის წევრი ი. სესიაშვილი
ინიციატორი	*ავტორი*

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი

წამყვანი კომიტეტი

19. 09. 2013.	წამყვან კომიტეტზე - 24.09 - 27.09	24.09 – 27.09
შემოსვლის თარიღი	*საკომიტეტო მოსმენის საბარაუდო თარიღი*	*პლენარულ სხდომაზე განხილვის საბარაუდო თარიღი*

კომიტეტები, რომელთა დასკვნა საჭიროებულია

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის კომიტეტებსა და საპარლამენტო ფრაქციებში დაიწყოს ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის პირველი მოადგილე — მანანა კობახიძე

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№102/32

2013 წელი, 24 სექტემბერი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1.საქართველოს პარლამენტის წევრის ირაკლი სესიაშვილის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრის ირაკლი სესიაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივით წარმოდგენილი „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07-3/241; 19.09.2013) საქართველოს კანონის პროექტი განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით.

2.„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტი პარლამენტის სხდომის ერთ დღეს განხილულ იქნეს ორი - მეორე და მესამე - მოსმენით.

3.საქართველოს პარლამენტის კომიტეტებმა, საპარლამენტო ფრაქციებმა, საპარლამენტო უმრავლესობამ, საპარლამენტო უმცირესობამ, პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა, საქართველოს მთავრობამ თავიანთი შენიშვნები და წინადადებები წარუდგინონ საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2013 წლის 24 სექტემბრის №102/5 გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადებში.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის პირველი მოადგილე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე — მანანა კობახიძე